ქუთაისის

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების

საჭიროებების შეფასება

კვლევა მომზადდა ფონდი „სოხუმის“ მიერ პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში.

მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერის შედეგად (პროექტის კოორდინაციას ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში)

მაისი, 2014

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ. ანგარიშზე მუშაობდა ემა კამკია. საჭიროებების კვლევა ჩაატარა ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ქალაქ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას; ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბს, ქალაქ ქუთაისის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ავტორი.

სადღეისოდ ბევრი ქვეყანა აღიარებს, რომ არსებობს გენდერული და ქალთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც, საჭიროებებიდან გამომდინარე, მოითხოვს კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებასა და სპეციალური ზომების განხორციელებას.

თუ გვინდა ვისაუბროთ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებაზე, პოლიტიკურ დღის წესრიგში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების წამოწევასა და მათ გადაჭრაზე, ამისათვის უნდა მოხერხდეს გენდერულ პრობლემებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ინსტიტუტების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, საზოგადოების ძალისხმევისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება.

ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული უთანასწორობის პრობლემის გადასაჭრელად კომპლექსური და მიზანმიმართული პოლიტიკის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა პეკინში გამართულ ქალთა მსოფლიო კონფერენციაზეც. ამ შეხვედრის ერთ-ერთ საკვანძო მოთხოვნას წარმოადგენდა მთავრობების მიერ ეროვნული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება. პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 289 პუნქტის თანახმად, **„არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე დამყარებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტელექტუალური კლიმატის შექმნაში. ქალთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში“.**

საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრებით, სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გენდერული პარამეტრების დანერგვა სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხობს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და მეწარმე ქალთა წახალისებას, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური დაცვის პოლიტიკისა და დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას.

გადაუდებელი ამოცანაა, აგრეთვე, ოჯახური ძალადობისაგან დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება.

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად არის მიჩნეული **გენდერული ბიუჯეტის** პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას. გენდერული ბიუჯეტის ცნება შედარებით ახალია და ნიშნავს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს ქალებსა და მამაკაცებზე საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებულ გავლენას და ხელს უწყობს ბიუჯეტის ისეთ დაგეგმვას, რომელიც საბიუჯეტო რესურსებს თანაბრად მისაწვდომს ხდის ორივე სქესისათვის და ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა:

- სრულყოფილი გენდერული სტატისტიკის წარმოება;
- პრობლემების ყოველმხრივი სამეცნიერო შესწავლა;
- სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება, საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა და გენდერული საკითხების სფეროში;
- სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით გენდერული და ქალთა საკითხების მოგვარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება;
- საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით;
- სახელმწიფო პროგრამით დასახული ღონისძიებების ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნა და განვითარება (სოციალური სამსახურები, კრიზისული ცენტრები, მონიტორინგის სამსახურები);
- თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა
- ქალთა მონაცემების ბაზების შექმნა, სახელმწიფო სააგენტოების, პარტიების, კერძო კომპანიების დასახმარებლად, შესაბამისი კვალიფიკაციის ქალების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციით

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები შემდეგ საკითხებს მოიცავს:

დედობისა და ოჯახის დახმარება (რა ხასიათისაა და მოცულობის ამგვარი პროგრამები, როგორია დაფინანსება);

მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;

ოჯახური ძალადობა და ძალადობა ქალის მიმართ (როგორია კანონმდებლობა, არსებობს თუ არა დახმარების სამსახურები, რა ხარისხისა და მოცულობის მომსახურების გაწევა შეუძლიათ, როგორია სამართალდამცავ ორგანოებში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისა და სასამართლო საქმეების წარმოების ხარისხი, ტარდება თუ არა პრევენციული ზომები);

გადაწყვეტილების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფა;
ტრეფიკინგი;
პროსტიტუცია;
ჯანდაცვის პროგრამები - ორსულთა, ახალშობილთა და მშობიარეთა, ბავშვთა ჯანდაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კონტრაცეფციისა და მათ შორის, აბორტის საკითხები, ქალურ ორგანოთა დაავადებები (მათ შორის - სიმსივნური).

გენდერული საჭიროებების ადგილობრივ დონეზე შესწავლა და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ქუთაისის სინამდვილეში გენდერული ჯგუფების (ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, ახალგაზრდები, ნაციონალური უმცირესობები და სხვ.) საჭიროებების კვლევას და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფები და რესპონდენტები განისაზღვრა კვლევის დამკვეთის - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ. კვლევის საველე სამუშაოები ჩაატარა ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ.

ჩატარებული კვლევის მონაცემები - რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, გამოკითხვის ტექნიკით სულ გამოიკითხა 150 რესპონდენტი

ცხრილი №1

კვლევის მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ (გამოკითხვა)
სამიზნე სეგმენტი	იგპ ქალები, სოციალურად დაუცველები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები
კვლევის არეალი	ქუთაისი
შერჩევის ზომა	150 პირი
შერჩევის მეთოდი	წინასწარი/მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	2%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	15-20 წუთი
კვლევის ჩატარების თარიღი	აპრილი 2014

გამოკითხვა მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების (ქუთაისში მცხოვრები ე.წ. გენდერული ჯგუფების - იგპ და სოციალურად დაუცველი ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები) გამოკითხვას მათი გენდერული საჭიროებების გამოსავლენად.

გამოკითხვას აწარმოებდა ქუთაისის თვითმმართველობასთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ჯგუფი.

გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის აპრილში, სულ გამოიკითხა 150 რესპონდენტი. წინასწარ განისაზღვრა სქესი (ქალები) და ასაკობრივი ბალანსი (16 წლიდან და 50 წ. ზევით).

კითხვარი შედგებოდა 13 ძირითადი კითხვისაგან და ე.წ. დემოგრაფიული ნაწილის 9 კითხვისაგან, რაც მიზნად ისახავდა რესპონდენტების შესახებ ინფორმაციის მოძიებას (ასაკი, საცხოვრებლის ტიპი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, საქმიანობის ტიპი, ოჯახის წევრების რაოდენობა (მათ შორის ბავშვების), ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი.

გამოკითხვის შედეგები

დემოგრაფიული ბლოკი

რესპონდენტთა ასაკი ჯამში 3 ასაკობრივ ჯგუფში გადანაწილდა.

ასაკი	რაოდენობა	%
16-30 წელი	39	26%
30-50 წელი	56	37.3%
50-ზე მეტი	55	36.7%
სულ	150	100%

ცხრილი N1



დიაგრამა N1

კვლევით განისაზღვრა სამიზნე ჯგუფების საცხოვრებლის ტიპი (დიაგრამა N2):



დიაგრამა N2

ოჯახური მდგომარეობა

დემოგრაფიულ ბლოკში განსაზღვრული იყო გამოკითხულთა ოჯახური მდგომარეობა. 150 გამოკითხული ქალიდან 15 ქვრივია, 17 განქორწინებული/გაშორებული, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე ნეგატიურად აისახება.



დიაგრამა N3

6. განათლება

გამოკითხულთა განათლების დონის მაჩვენებლის სტატისტიკა უჩვენებს, რომ სამიზნე ჯგუფის ნაწილი ფლობს განათლების გარკვეულ ცენზს. 59 გამოკითხული ფლობს საშუალო პროფესიულ განათლებას (39.3 %). 22 გამოკითხული (14.7 %) არის დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, ხოლო 34 გამოკითხული (22.7%) - არის უმაღლესი განათლებით. გამოკითხულთა 23.3 % (35 ქალი) - აღნიშნავს, რომ აქვს არასრული საშუალო განათლება. **დიაგრამა N4.**

დიაგრამა N 4



7. საქმიანობის ტიპი

გამოკითხვამ ცხადყო სამიზნე ჯგუფების პრობლემები დასაქმების კუთხით: 150 გამოკითხულიდან 100 (67%) უმუშევარია, თვითდასაქმებული რესპონდენტების რიცხვი შეადგენს - 17-ს (11%).

გამოკითხვის თანახმად, უმუშევრობის ყველაზე მაღალი ხარისხი დაფიქსირდა სოციალურად დაუცველთა (43 გამოკითხული) და დევნილ ქალთა (37 გამოკითხული) ჯგუფში. მხოლოდ 3 იგპ ქალი და 6 ნაც. უმცირესობის წარმომადგენელი არის დასაქმებული სახელმწიფო სექტორში.

დიაგრამა N5



8. ოჯახის წევრების რაოდენობა

ოჯახის წევრების რაოდენობის სტატისტიკამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი 3-5 სულიანი ოჯახიდანაა. 33 გამოკითხული წარმოადგენს მრავალშვილიან ოჯახს.



დიაგრამა N 6

დიაგრამა N7



9. ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი

გამოკითხული რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილის ოჯახის თვიური ბიუჯეტი შეადგენს 300 ლარზე მეტს. 61 გამოკითხული (40%) აფიქსირებს, რომ მათი თვიური შემოსავალი არ აღემატება 150 ლარს. 50 გამოკითხული (33%) აცხადებს, რომ მათი საშუალო თვიური შემოსავალი არის სამას ლარამდე. მონაცემების სეგრეგაცია ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურება (დიაგრამა N8).



დიაგრამა N8

ძირითადი ბლოკი

ძირითადი ბლოკი მოიცავდა 13 კითხვას. ქვემოთ მოცემულია სამიზნე ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პასუხები მათთვის დასმულ კითხვებზე.

1. კითხვა: **გაქვთ თუ არა ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დედებისა და ქალების დახმარების პროგრამების შესახებ?**

კითხვარის პირველი კითხვა მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის საკითხის კვლევას ადგილობრივ ბიუჯეტში დედებისა და ქალების დახმარების პროგრამების თაობაზე.

საერთო მონაცემები ასახულია დიაგრამა N9-ში



მონაცემთა სეგრეგაცია სოციალური ნიშნით მოცემულია დიაგრამაში (N10)



დიაგრამა N10

სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობა: როგორც დიაგრამიდან ჩანს, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში მცხოვრები კვლევის ბენეფიციარი ქალები: სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ცუდად არიან ინფორმირებული ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ. ყველაზე ნაკლები ინფორმირებულობის ხარისხი აქვთ დევნილ ქალებს - 28 მათგანი (გამოკითხული 50-დან) აცხადებს, რომ დღემდე არ ფლობდა არანაირ ინფორმაციას მსგავს პროგრამებზე.

2. კითხვა: თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება?

კითხვა მიზნად ისახავდა რესპონდენტთა დამოკიდებულების გამოვლენას ბიუჯეტის გენდერული განაწილების საკითხისადმი, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს სოციალურ სამართლიანობას. გამოვლინდა, რა მნიშვნელობას ანიჭებენ გამოკითხულები ქალების და კაცების, საზოგადოების სხვა გენდერული ჯგუფების პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინებას ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას.

მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს საკმაოდ კარგად აქვთ გააზრებული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განსხვავებული საჭიროებები და ამ საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა ბიუჯეტში. თუმცა, გამოკითხულთა 17.3%-ს უჭირს პასუხის გაცემა მოცემულ კითხვაზე. მათი 8% არ მიიჩნევს სავალდებულოდ ბიუჯეტის დანაწილებაში სოციალური ჯგუფების საჭიროებების თანაბარ გათვალისწინებას.

პასუხები გამოსახულია დიაგრამაზე (N11)



N11

3. კითხვა: თქვენი აზრით, შემდეგი სფეროებიდან, დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი)

გამოკითხვის მესამე კითხვა წარმოადგენს რესპონდენტების შეხედულებას ადგილობრივ დონეზე დაფინანსებისათვის პრიორიტეტული სფეროების ირგვლივ. ასარჩევი იყო 3, გამოკითხულთა აზრით, პრიორიტეტული მიმართულება. გამოკითხულები უპირატესობას ანიჭებენ ჯანდაცვისა (120 პასუხი) და სოციალური დაცვის ადგილობრივ პროგრამებს (111), განათლებას (109). სულ 384 პასუხი (პასუხების რაოდენობა აღემატება 150-ს (სამი ასარჩევი პასუხის ხარჯზე).

პასუხები მოცემულია დიაგრამაში N12



4. კითხვა: ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი)

ამ კითხვის პასუხები აჩვენებს იმას, გამოკითხულთა აზრით, რომელი გენდერული ჯგუფი საჭიროებს ყველაზე მეტ მხარდაჭერას ადგილობრივი რესურსებით. პასუხი „სხვა“ საშუალებას იძლეოდა, გამოკვეთილიყო განსხვავებული, კითხვარში არაღნიშნული გენდერული ჯგუფი, რომელიც, მათი აზრით, ასევე არის განსაკუთრებული/სპეციფიკური საჭიროებების მქონე. მოცემული შესაძლებლობით გამოკითხულებს არ უსარგებლიათ. კითხვაზე პასუხები მოცემულია ცხრილში (N2)

ჯგუფები, რომელთა საჭიროებების გათვალისწინება მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვნად	პასუხების რაოდენობა
ახალგაზრდა ოჯახები	49
იგპ	82
ორსული ქალები	38
მზრუნველობამოკლებული ბავშვები	49
სოციალურად დაუცველი ოჯახები	107
ეთნიკური უმცირესობები	51
მოხუცები	60
სხვა	0
სულ	438 პასუხი

5 კითხვა: დაასახელეთ თქვენი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება, რომელიც გჭირდებათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

გამოკითხულთა 44% (66 პასუხი) ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს დასაქმებას. 20. 7% (31 პასუხი) - კვალიფიკაციური განათლების ხელმისაწვდომობას. მათ შორის ყველაზე მეტი - სოციალურად დაუცველთა ჯგუფიდან (22 გამოკითხული 50-დან). ეს ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ წინა პასუხებში მათი უმეტესობის განცხადებით - არა აქვს პროფესია.

სოციალური სეგრეგაციის მიხედვით კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

პასუხები დიაგრამაში - ქვემოთ (N13).

დიაგრამა N13



6. კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი?

გამოკითხვის მე-6 კითხვამ გამოავლინა სამიზნე ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზები. როგორც აღმოჩნდა, სასტარტო კაპიტალის არქონა არის სერიოზული პრობლემა, რომელიც გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 40.7%-ს აწუხებს. ეს საკითხი ყველაზე გამოკვეთილია იგპ ქალთა ჯგუფში. 50 გამოკითხულიდან 29 (იგპ ქალების ჯგუფის 58%) აცხადებს მას თავისი ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ მიზეზად.

ოჯახის წევრების მხრიდან ბარიერი აქვს გამოკითხულთა 4%-ს. სავარაუდო პასუხი „არ მაქვს პროფესია“ აირჩია გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 24%-მა (36 ადამიანი). მათ შორის ყველაზე მეტია სოციალურად დაუცველი -16.

ჩამოშლილი პასუხები მოცემულია **დიაგრამაში (N14)**



დიაგრამა N14

7. კითხვა: რომელი ტიპის შრომაა თქვენი შენატანი ოჯახში?

მიღებული პასუხები შესაბამისობაში მოდის ქვეყანაში არსებულ საერთო სურათთან, სადაც ქალების წილი რეპროდუქტიულ შრომაში შედარებით მაღალია. ისინი ან მთლიანად იღებენ საოჯახო საქმეების ტვირთს, ან მას უთავსებენ სამსახურს და ორმაგი დატვირთვა აქვთ. პასუხები ასახულია დიაგრამაზე (N16). რეპროდუქტიული შრომა დაასახელეს თავის შენატანად ოჯახში სოციალურად დაუცველი ქალების ჯგუფში (43 ქალი 50 გამოკითხულიდან).



დიაგრამა N15

8. კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებადი შრომის (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) წახალისება?

რეპროდუქტიული შრომის კუთხით გაწეული საქმიანობის წახალისება საჭიროდ მიაჩნია გამოკითხულთა 67.3%-ს (101 ადამიანი), 23 მათგანი (15.3%) ვერ ხედავს ამის საჭიროებას. 26 ქალს (17.4%) უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.



დიაგრამა N16

9. კითხვა: თქვენი აზრით, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში?

გამოკითხვის პასუხები თვალსაჩინოს ხდის რესპონდენტების დამოკიდებულებას ქალებში უმუშევრობის შემცირების საკითხისადმი. ყველაზე მეტი პასუხი დაფიქსირდა კითხვაზე - „სამუშაო ადგილების შექმნა“ (43%). შედარებით კონკრეტული - ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობა შედარებით ცოტა გამოკითხულმა დააფიქსირა (8.7%). ყველაზე პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული სამუშაო ადგილების შექმნა. ყველაზე ხშირად ეს პასუხი იყო არჩეული იგპ ქალების ჯგუფში. პასუხები დიაგრამაზე (N17) – ქვემოთ:



დიაგრამა N17

10. კითხვა: თუ გაქვთ განათლების გაღრმავების საჭიროება, ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენთვის საჭირო პროგრამა?

გამოკითხულებმა დაასახელეს როგორც პროფესიული გადამზადების კურსები, ასევე - გრძელვადიანი სასწავლო კურსები, რითაც გამოხატეს დაინტერესება სასწავლო პროგრამებისადმი. ყველაზე მეტად ამის საჭიროება დასახელდა სოციალურად დაუცველთა ჯგუფში (მათი 38%).

პასუხები კითხვაზე ასახულია დიაგრამაში (18).



დიაგრამა N18

11. კითხვა: თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის?

კითხვარის მე-11 კითხვაში ცალკე გამოიყო შესაძლებელი ღონისძიებები ახალგაზრდების, როგორც გენდერულად მგრძნობიარე ჯგუფის, განათლების მიღების საჭიროებისადმი მხარდაჭერის კუთხით.

სამიზნე ჯგუფებში ყველაზე ხშირად იყო დაფიქსირებული პასუხი: დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება ადგილობრივ დონეზე - 74 პასუხი (51%). გამოკითხულთა შორის ეს ყველაზე ხშირი იყო სოციალურად დაუცველ ქალთა ჯგუფში - 36 პასუხი (მათი 72%).

მიღებული მონაცემები დიაგრამაზე - ქვემოთ (N19).



დიაგრამა N19

12. კითხვა. როგორ შეაფასებთ ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფების დახმარების კუთხით?

კითხვარის მე-12 კითხვა ასახავს განსაკუთრებული გენდერული საჭიროებების მქონე ჯგუფების შეფასებას სახელმწიფო სტრუქტურების, საზოგადოების ჯგუფებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის საკითხისადმი მათი საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხში. გამოკითხული სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულება უჩვენებს, რომ ადგილობრივ მულტიდისციპლინარულ თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მხარდაჭერის საკითხისადმი ისინი მეტწილად აფასებენ, როგორც „ნაკლებადდამაკმაყოფილებელს“ (75 პასუხი). დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ამ თანამშრომლობას გამოკითხულთა 36 % (54 პასუხი). საერთო მონაცემები - დიაგრამაში (№20)



დიაგრამა N20

13. კითხვა. ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების, მასთან ბრძოლის მიზნით, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი სტრუქტურები უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულნი? სამიზნე ჯგუფებისგან მიღებული სამგანზომილებიანი დიაგრამა (N20) ასახავს დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი.



დიაგრამა N21

მიღებულმა პასუხებმა (დიაგრამა N21) აჩვენა, რომ რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე ფენას, მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებენ ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებაში ყველა დასახელებული სტრუქტურის კოორდინირებულ ჩართვას (საერთო გამოკითხულთა 72%). პასუხი „ძალოვანი სტრუქტურები“ აირჩია მთლიანად კვლევის მონაწილეების 11.3%-მა. არასამთავრობოების ფუნქციას მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 10%.

<u>დასკვნა</u>: ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის - *„ქუთაისის ადგილობრივი გენდერული ჯგუფების საჭიროებების კვლევა“* - ფარგლებში ჩატარებულმა რაოდენობრივი კვლევის საველე სამუშაოების შედეგებმა, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია ზემოთ, დაასაბუთა კვლევის თავდაპირველი თეორიის სისწორე: ადგილობრივი განვითარების კონტექსტში არიან სოციალური, სხვანაირად - გენდერული ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში დიდწილად შეუწყობს ხელს ამ ჯგუფების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას. კვლევამ გამოკვეთა საკითხები, რომელთა გათვალისწინება რესპონდენტებს მიაჩნიათ ყველაზე საჭიროდ მათი განვითარების ხელშეწყობისათვის.

ნაწილი II

კვლევის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ჩატარებული თვისობრივი კვლევის ანგარიში.

თვისობრივი კვლევის ანგარიში
თვისობრივი კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით

კვლევის მეთოდი	თვისობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	ფოკუსირებული ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ
სამიზნე სეგმენტი	1. ჯგუფები, რომელთა საჭიროებებიც გამოიკვლია 2. ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ ინფორმაცია საკვლევ ჯგუფებზე 3. ექსპერტები
კვლევის არეალი	ქუთაისი
შერჩევის ზომა	სულ გამოიკითხა 51 პირი - 4 ჩაღრმავებულ ინტერვიუში, 46 ფოკუს-ჯგუფებში)
შერჩევის მეთოდი	წინასწარი /მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	1%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	ფოკუს ჯგუფი - 1,5 – 2,5 საათი ჩაღრმავებული ინტერვიუ - 1 – 1,5 საათი
კვლევის საველე სამუშაოების ჩატარების ვადები	აპრილი, 2014 წელი

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოკვლეული იქნა დარგის ექსპერტების (განათლების საკითხებში, თვითმმართველობის საკითხებში, სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაში, სანიტარულ კულტურასა და უფლებათა დაცვის საკითხებში) შეხედულებები ადგილობრივი გენდერული საჭიროებებისა და თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის თაობაზე. მიღებული თეორიები მთლიანობაში დაემთხვა ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით მიღებულ შედეგებს. ფოკუს-ჯგუფებში იმუშავეს ჯგუფებმა, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას ადგილობრივი გენდერული ჯგუფების შესახებ (ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებმა, მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო სექტორის, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა), ან

თავად წარმოადგენდნენ ამ ჯგუფებს (ახალგაზრდების შემთხვევაში). თვისობრივი ინფორმაციის შეგროვებით მოხდა ბენეფიციართა გენდერული საჭიროებების გამოვლენა და შესაძლებელი გახდა რიგი დასკვნების გაკეთება. გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

პირველი კითხვა ეხებოდა საკითხს, **რამდენად არიან ინფორმირებულნი ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ.** როგორც გაირკვა, ექსპერტების ის ნაწილი, რომელსაც სამსახურებრივად აქვს შეხება, კარგად არის ინფორმირებული ბიუჯეტის პროგრამებზე, ნაწილი საკმაოდ კარგად იცნობს გარკვეული ტიპის პროგრამებს, მაგრამ აღიარებს, რომ სხვაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ მოცემულ საკითხზე ახალგაზრდების ჯგუფს.

ინფორმაციის წყაროდ დასახელდა პრესა, ტელევიზია, პირადი კონტაქტები, სოციალური ქსელები, ოფიციალურად გამოთხოვილი მასალები.

მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასკვნით - საკრებულოს არ აქვს მოქნილი მექანიზმი, რომ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდეს სრულყოფილად. შეიძლება ელექტრონული ბიულეტენის შექმნა. მიღწევად ჩაითვალა ის, რომ წინა წლებთან შედარებით, როცა ვებ-გვერდზე იდო ბიუჯეტის პროექტი, წელს დამტკიცებული ბიუჯეტი განთავსდა და ცვლილებების ასახვაც პერიოდულად ხდება.

ითქვა, რომ ინფორმირების კუთხით ყველაზე მეტი დამსახურება აქვს მედიას.

აღინიშნა, რომ დიდი ხანია გაჟღერდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაცია, მერიის შესასვლელში, სადაც ახლა ტურიზმის ცენტრია, განთავსდეს კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება თვითმმართველობის ბიულეტენის გაცნობა და ყველა საინტერესო ინფორმაციის მოპოვება.

კრიტიკა გაისმა სამოქალაქო საზოგადოების მისამართითაც. ითქვა, რომ საზოგადოებაში ნაკლებად არის დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების სისტემა, *„არ არის ისე, რომ ჩვენ რაღაცას ხშირად ვეკითხებით ხელისუფლებას. ამიტომ როცა ასეთი რამ ხდება, ჰგონიათ, რახან ვკითხულობთ, „ჩასაფრებული“ ვართ“.*

რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, ***რა სახის გენდერული საჭიროებები აქვს სხვადასხვა ჯგუფს (ქალები, მოხუცები, ბავშვები, ახალგაზრდები, და ა.შ.) ქუთაისის სინამდვილეში და რამდენად არის ისინი დაკმაყოფილებული?***

პირველ რიგში, გამოიყო შშმ ჯგუფების პრობლემები და მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის აუცილებლობა. *„ავტობუსებზე და პანდუსებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ვერც ერთი შშმ მოქალაქე ვერ შევა მერიაში და საკრებულოში და ირღვევა ამ ადამიანების კონსტიტუციური უფლებები“.*

გამოიკვეთა ე.წ. „ქუჩაში მცხოვრები ბავშვების“ პრობლემები, რომელთა სამოქალაქო ინტერგირებისათვის ზრუნვა ფრაგმენტულად ხდება და ამით საფრთხე არა მარტო მათ მომავალს, არამედ მოქალაქეების უსაფრთხოებას ექმნება. ითქვა, რომ საჭიროა მათი აღრიცხვა, მონიტორინგი. მაგრამ აქ დგება პრობლემა - უმეტეს მათგანს არ გააჩნია საბუთები. *„მერიას ვერ ავკიდებთ მათ, ვინც ქუთაისის მკვიდრი არაა. ეს საკითხი სხვადასხვა სტრუქტურის მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს“.*

იყო ერთეული მოსაზრებები, რომ თვითმმართველობამ არ უნდა დახარჯოს ფული ჯანდაცვაზე და ეს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. სხვა მოსაზრებებით, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ გაექცევა მოქალაქეთა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რომელთაც ცენტრალური პროგრამები ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს.

კრიტიკული პოზიცია დაფიქსირდა თვითმმართველობის მიერ მოწყობილი ბანკეტების მიმართ, რომლის მონიტორინგს რიგი ორგანიზაციები აწარმოებდნენ და ამ ხარჯებს გაუმართლებლად მიიჩნევენ ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე.

ხაზგასმული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობა. საჭიროება, რომელიც გააჩნიათ - შესაბამისი პირობების შექმნა ინტეგრაციისათვის, რომლის პასუხისმგებლობა ადგილობრივ ხელისუფლებასაც უნდა ჰქონდეს აღებული. *(„მათთვის აშენებულ საცხოვრებლებში ხან სამზარეულოს დამონტაჟება ავიწყდებათ (სამტრედია), ხან სველი წერტილების (გორი)“).*

განსაკუთრებულ საჭიროებებს მიეკუთვნება, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სამზრუნველო დაწესებულებებში განთავსებული ბავშვების პრობლემები, მათი თანამედროვე ინვენტარითა და მომსახურებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. ითქვა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ამ კუთხით ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

უმნიშვნელოვანეს გენდერულ საკითხად ჩაითვალა ახალგაზრდების ხელშეწყობა. ითქვა, რომ არ არის საკმარისი, ან - საერთოდ არ არის ისეთი ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც მათი განათლების, სამუშაო გამოცდილების დაუფლების კუთხით მოგვცემდა შედეგს. ითქვა, რომ წლების წინ გაჟღერებული რეკომენდაცია სტუდენტებისათვის შეღავათიანი მგზავრობის თაობაზე ჯერაც არ განხორციელებულა. ამის საჭიროება კი ნამდვილად არსებობს.

ყურადღება მიექცა ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის საკითხს, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. ეს იქნება ზრუნვა არა მარტო მათზე, არამედ - მთელ საზოგადოებაზე.

რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ ახალგაზრდა ოჯახები, რომელთა სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. *„მნიშვნელოვანი იქნებოდა დასაწყისისათვის მათი მატერიალური წახალისება, უფრო შემდგომი ეტაპია მათთვის საბინაო პირობების გაუმჯობესების ხელშწყობა“.*

გამოყოფილი იქნა ქალთა ჯგუფების საჭიროებები: *„ის, რომ ხელოვნური შეზღუდვები არ არის, არ ნიშნავს, რომ პრობლემა არ არის. ქუთაისის სინამდვილეში ქალთა პრობლემების და საჭიროებების მონიტორინგი და შემდგომში ანალიზი არ არის სათანადო დონეზე და შედეგებიც სახეზეა“ (ნ.ჩ.).*

საკითხი, **რამდენად ეფექტურად მიიჩნევენ ისინი ამ პროგრამებს ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად** - ითქვა, რომ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ადგილობრივი პოლიტიკის ორიენტაცია გენდერულ მიდგომებზე.

ისინი მიიჩნევენ, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია სიტუაციის შესწავლა, რა სახის პროგრამები სჭირდებათ მოქალაქეებს, შემდეგ კი ბიუჯეტის „მორგება“ ამ საჭიროებებზე, რადგან ის მაინც შეზღუდულია და ყველა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. *„მე ვერაფრით ვერ დავუჭერ მხარს ფულის ხარჯვას მხოლოდ სოციალური მიმართულებით. თუ თვითმმართველობაში მარტო სოციალური პაკეტი იქნა მძლავრად წარმოდგენილი, ვერ გამოვიყენებთ ადგილობრივი ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას - შექმნას დასაქმების პროგრამები (თუმცა ეს თანხა წლებია, არსებობს ბიუჯეტში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ იქნა ათვისებული და საბოლოოდ, ვინ იცის, რას მოხმარდა)“.*

პოზიტიური შეფასება მიეცა პროგრამული დაფინანსების შემოღებას, თუმცა აღინიშნა ასევე, რომ ამ ტიპის ხარჯების მიმართ მოლოდინი უფრო მაღალია, ხარჯები - ნაკლები. ამის გამო აუცილებელია სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვა.

„წელს მოხდა მაღალი ხარჯების ჩადება, თუმცა რეალურად არაა განაწილებული. არ მოხდა პრიორიტეტების ზუსტი განსაზღვრა, რადგანაც არ მოხდა პრობლემების კვლევა“ .

ითქვა, რომ სოციალური პროგრამების პაკეტები გამოიყენება, ძირითადად, ლოკალური პრობლემების გადასაჭრელად და ვერ უზრუნველყოფს არსებული პრობლემების გადაჭრას. გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან არის გრძელვადიანი პროგრამები.

დასმული იყო კითხვა: თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და მამაკაცების (საზოგადოების სხვა ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება და რატომ?

ჩაღრმავებულ ინტერვიუში ექსპერტებთან საუბარმა ცხადი გახადა, რომ მათი აზრით, ის, რომ ადგილობრივ დონეზე არ ხდება პროგრამებში სქესის ნიშნით დიფერენციაცია, იწვევს იმას, რომ ქალებისა და მამაკაცების პრობლემები არ წყდება თანაბარ დონეზე.

რესპონდენტები ხაზს უსვამენ არა მარტო ქალების და კაცების, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების თანაბარი გათვალისწინების აუცილებლობას.

იყო ნახსენები ტერმინი „მარტოხელა დედა“ და განმარტებული იქნა, რომ ის დისკრიმინაციულია, რადგან არიან მარტოხელა მამებიც და ეს დეფინიცია უნდა გასწორდეს.

ზოგიერთი მათგანი კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა საუბარი ბიუჯეტის განაწილებაზე დაიწყო.

ექსპერტების დასკვნებით და ფოკუს-ჯგუფებში საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსიებით გამოიკვეთა, რომ ***ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში*** ნაკლებად ახდენს გავლენას. ასეთი გავლენა კი, მათი აზრით, სახელმწიფო ინტერესებში უნდა იყოს.

ითქვა, რომ მაშინ როცა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 7-12%-ია და დანარჩენი ტრანსფერია, რომელსაც თან მოყვება ხარჯვითი ვალდებულებები, რთულია მას მოთხოვო დამოუკიდებლობა.

„წელს დაემატა ახალი პროგრამები - იმ ოჯახების დაფინანსება, რომლებიც ბიოლოგიურ შვილებს დაიბრუნებენ, მაგრამ ეს მექანიკურადაა გაკეთებული და საკითხის უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. უმჯობესია ასეთი ოჯახების წევრების დასაქმებაზე ვიზრუნოთ“.

„სანამ არ გავარკვევთ, ქალაქი საით ვითარდება და რა გვინდა, ვერასდროს ვერ გავარკვევთ ყოველწლიურ პრიორიტეტებს, სულ იქნება ქაოსი“. „2015 წლის ბიუჯეტი უნდა ეყრდნობოდეს 2014 წლის ბიუჯეტს“.

ექსპერტთა აზრით, გრძელვადიანი პერსპექტივით ყველაზე კარგი პროგრამა იქნებოდა დასაქმება, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა, სამწუხაროდ, ვერ *ახერხებს. „როცა ადამიანს შემოსავალი აქვს, ის მერიის დახმარებას არ საჭიროებს”. „მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტში გათვლილი პროგრამები, რაც შეიძლება, ნაკლებად იყოს გათვლილი მოკლევადიან პერსპექტივაზე. მაგალითად - ერთჯერადი დახმარებები, შეღავათები. ამით ფონს გასვლა შეუძლებელია“.*

„უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის პროგრამების დაფინანსება. ეკონომიკური გაძლიერება ამ ჯგუფების სოციალური და პოლიტიკური აქტივობის გარანტიაა, მათ მეტ ჩართულობას განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ის, რომ კომპენსაციის დაკარგვის შიშით ბევრი უარს ამბობს სამსახურზე, ხაზს უსვამს სოციალურ პროგრამებზე დამოკიდებულების სამწუხარო ტენდენციას და დასაქმების შემთხვევაშიც არასტაბილურობის განცდას, რადგან არავინ იცის, ხვალ რა ბედი ეწევა.

ექსპერტები თვლიან, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა მოხდეს პრიორიტეტების გათვალისწინებით და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კითხვაზე - ***თქვენი აზრით, როგორ და ვის მიერ უნდა მოხდეს არაანაზღაურებად სექტორში (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) გაწეული საქმიანობის წახალისება*** პასუხად გაირკვა, რომ ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნიათ რეპროდუქტიული შრომის წახალისება. ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ ეს უნდა მოხდეს მატერიალური წახალისებით, ზრუნვის პოლიტიკის სუფსიდირებით. ზოგი თვლის, რომ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში შიდა პროდუქტის დათვლის დროს ითვლება რეპროდუქტიული შრომის შენატანი და ეს ძალიან ნორმალურია. *„კარგი იქნება, თუ ეს ამ ადამიანებს ჩაეთვლებათ სტაჟში“. „უნდა მოხდეს ამ შრომის კომპენსაცია, წახალისება“.*

რესპონდენტების მიერ ხაზგასმული იყო ამ კუთხით არასამთავრობო სექტორის და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა.

კითხვა შეეხო უმუშევრობის შემცირებას ქალებში. ***თქვენი აზრით, რა ღონისძიებებმა უნდა შეუწყოს ხელი უმუშევრობის შემცირებას ქალებში და როგორ?***

პირველ რიგში, დასახელებული იქნა ეკონომიკის განვითარება და სტაბილური გარემოს შექმნა ქვეყანაში, რაც ადგილობრივი რესურსების გამოთავისუფლებას შეუწყობს ხელს. ითქვა ინოვაციური პროექტების აუცილებლობაზე.

„უნდა შემუშავდეს მომზადებისა და გადამზადების ისეთი პროგრამები, რომლებიც „ქალურ პროფესიებს“ ეხება. რადგან დაკვეთა მათზეა.“

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს კიდევ ერთ ღონისძიებას ქალთა უმუშევრობის შემცირებისათვის. ეს არის განათლება.

ხელისუფლება, საკანონმდებლო ორგანოები უნდა მუშაობდნენ ამ საკითხზე და შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც ამ პრობლემას მოაგვარებენ.

როგორ თვლით, რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივი რესურსებით სხვა გენდერული ჯგუფების, მაგალითად - ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის?

ექსპერტებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მხარდასაჭერად. თითქმის ყველა აღნიშნავდა, რომ აუცილებელია სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა ამ კუთხით.

„საჭიროა ახალგაზრდების ინტერესების სფეროების კვლევა და, აქედან გამომდინარე - მათი განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა“. დასახელდა საგანმანათლებლო პროექტების აუცილებლობის საკითხი. *„უნდა დადგეს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის კავშირის გაუმჯობესების საკითხი, განსაკუთრებით ახალგაზრდების სტაჟირებისა და დასაქმების კუთხით.*

კერძო სექტორის დაინტერესება, მოტივირება ამ მიმართულებით, რათა სტუდენტებმა მიიღონ პირველადი გამოცდილება, რაც დაეხმარებათ შემდგომ განვითარებაში“.

ახალგაზრდების ჯგუფმა თავიანთ სასიცოცხლო საჭიროებად დაასახელა სპეციალობის მიხედვით სტაჟირების შესაძლებლობა. ნეგატიურად შეფასდა წინა წლების პროგრამები, რომლებიც ეფექტურობის თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებს და მხოლოდ ხანმოკლე ეფექტი ჰქონდა. ერთხმად იყო აღნიშნული თვითმმართველობის დიდი რესურსი ამ კუთხით.

ჩაღრმავებულ ინტერვიუებში განისაზღვრა რესპონდენტების დამოკიდებულება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ***როგორ ხედავენ ისინი ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას ადგილობრივი საჭიროებების (განსაკუთრებით გენდერული) დაკმაყოფილების კუთხით.*** ზოგი ექსპერტის აზრით, ეს კომუნიკაცია საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,

ექსპერტების მოსაზრებით, ამ სამი სეგმენტის კონსტრუქციული თანამშრომლობა ძალიან ღირებულია, მაგრამ ყველაზე ხშირად ისინი ერთმანეთის კრიტიკით არიან დაკავებული. გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთ არასამთავრობოს აქვს ძალიან დიდი თანხები და მიზნობრივი გრანტები და კარგი იქნება, თუ ტრენინგებთან ერთად თანამონაწილეობასაც შესთავაზებენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

„მიმაჩნია, რომ ამ საკითხებზე სხვა ქვეყნებში უფრო ბევრს ფიქრობენ და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ მათ იდეებსა და მისწრაფებებს. ჩვენთან პრობლემები უფრო ზოგად ჭრილში განიხილება. კონკრეტული ადამიანებისათვის შეღავათი ნაკლებად დგება“.

რესპონდენტების მხრიდან მოხდა ამ თანამშრომლობის აუცილებლობის ხაზგასმა. გაიხსენეს სიტუაცია, როცა ქალაქის სტრატეგიის პროექტში ნახსენები არ იყო იგპ-ები და საიას, „განათლება და სამყაროს“ მიერ მოხდა ამის გაპროტესტება. *„გამოჩნდა, რომ მერიას საერთოდ არ ჰქონდა ხედვა ჩვენი ქალაქის ამ მეტად სერიოზული სეგმენტის მიმართ, მათი ინტეგრირებისათვის, რომლის შედეგად არა მართო თვითონ ჯგუფი, არამედ ქალაქიც ღებულობს სარგებელს“.* დაისვა იგპ-თა სხვადახვა ჯგუფის საჭიროებების კვლევის აუცილებლობის საკითხი.

გენდერულ საჭიროებათა ნუსხაში მოხვდა ქალთა პოლიტიკური გააქტიურების საკითხი, რადგან მათი აქტიური მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხში შესამჩნევად ცვლის პრიორიტეტებს, უფრო სამართლიანად ხდება რესურსების განაწილება და ხელმისაწვდომობა.

„ეს თანამშრომლობა შეძლებისდაგვარად ხორციელდება, მაგრამ გაუმჯობესებას საჭიროებს. საჭიროა მუდმივი დიალოგის რეჟიმი, კონცეფციების შემუშავება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის განვითარების ხელშესაწყობად“.

რესპონდენტებში ***სექტორებს შორის გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის მსხვერპლის დახმარების კუთხით თანამშრომლობის*** საკითხის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა.

ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტებმა ერთმნიშვნელოვნად დაასახელეს ოჯახში ძალადობის პრობლემა საზოგადოებისთვის ძალიან საშიშ მოვლენად და ხაზი გაუსვეს მასთან ბრძოლის აუცილებლობას სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებით.

ექსპერტთა უმეტესობა თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს უფრო რეალური ქმედებები ძალადობის მსხვერპლის დასაცავად. უნდა შეიცვალოს საკითხისადმი

დამოკიდებულება ადგილობრივ დონეზე და მოხდეს აქტიური ჩართვა საკითხის გადაწყვეტაში არსებული რესურსების გამოყენებით.

ხაზი გაუსვეს საინფორმაციო კამპანიების აუცილებლობას ძალადობის წინააღმდეგ.

საინტერესო იყო ის, რომ ექსპერტებმა აღნიშნეს წარმატებული ქვეყნების მაგალითის გათვალისწინების აუცილებლობა - *„განსაკუთრებით - გასამართია სოციალური სამსახურის სისტემა ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით“* და გამოკვეთეს ამ ტიპის სამსახურის შექმნის დაჩქარების საჭიროება.

ითქვა, რომ აუცილებელია ამ კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნონ იმ ქვეყნების გამოცდილებას, სადაც ხვდებიან სამსახურებრივი მივლინებით და სხვა მთელი რიგი გამოცდილების მისაღებად.

„მუნიციპალიტეტებში უნდა დადგინდეს რისკ-ჯგუფის ოჯახები და გამოიყოს სპეციალისტი, რომელიც ითანამშრომლებს უბნის რწმუნებულთან, სოციალურ მუშაკთან, სკოლებთან“.

„ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დაუჭიროს მხარი ისეთ პროგრამებს და კამპანიებს, რომლებიც ინფორმირებისა და განათლების კუთხით კეთდება (განსაკუთრებით სატელევიზიო, რადიოგადაცემებს) როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ასევე - სხვადასხვა ინსტიტუციისათვის“.

გამოვლინდა რესპონდენტების დამოკიდებულება საკითხისადმი - **რამდენად არის საკმარისი სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, აივ/შიდსი, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და ა.შ.) პროფილაქტიკის არსებული ადგილობრივი ღონისძიებები. გარდა არსებულისა, რა შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინება შეიძლება.**

ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად იყო გაცნობიერებული საკითხში, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით.

დასახელდა ამ ტიპის დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებები, რომელიც ადგილობრივ დონეზე კეთდება.

პირველ რიგში, ხაზი გაესვა ინფორმირებულობის საკითხს. საგანგაშოდ იქნა მიჩნეული სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციის არცოდნა, უფასო სკრინინგ-პროგრამების იგნორირება, განსაკუთრებით შიდსთან მიმართებაში.

რა წინაპირობები უნდა იქნას შექმნილი ქალებისათვის (და სხვა სოციალური ჯგუფებისათვის) ადგილობრივ მმართველობაში თანაბარი მონაწილეობისათვის?

პირველ რიგში, დასახელდა „ობიექტური და გამჭვირვალე კონკურსების“ აუცილებლობა. ასევე, კვლევის მონაწილეთა აზრით, მაქსიმალურად უნდა იყოს ხელშეწყობილი და გამოვლენილი ქალთა შესაძლებლობები. ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით დასახელდა პოლიტიკურ პარტიებში შესაფერისი კლიმატის აუცილებლობა, როდესაც ხდება ქალთათვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მათი მამაკაცებთან ერთნაირ სასტარტო პირობებში ჩაყენების აუცილებლობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ კვლევის თავდაპირველი თეორია, ქუთაისის სინამდვილეში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფებისა და მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პოლიტიკისა და პრაქტიკის თაობაზე გამყარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით.

კვლევამ ცხადყო, რომ მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი ადგილობრივ ხელისუფლებას განიხილავს, როგორც მათი ადგილობრივი მომსახურების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას. გარდა ამისა, ისინი მოიაზრებენ ადგილობრივ სტრუქტურებს, როგორც სოციალური სამართლიანობის, მოქალაქეთა ინტერესების დაცვის გარანტს და ისურვებდნენ, რომ მან უფრო მეტად დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები.

კვლევაში აისახა საერთო ტენდენცია - იხილონ უფრო მეტად დახვეწილი ადგილობრივი მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამები და ისინი, პირველ რიგში, მიმართული იყოს გრძელვადიანი პროექტების მხარდაჭერისაკენ, რაც საბოლოო ანგარიშით, მინიმუმამდე დაიყვანს სახელმწიფო შემწეობის იმედად მყოფი მოქალაქეების რიცხვს და მიმართული იქნება მათი განვითარებისაკენ.

კვლევის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება, რაც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

- ბიუჯეტის ფორმირებისა და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საზოგადოების სოციალური ჯგუფების მონაწილეობა, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქალებისა და კაცების განსხვავებული გამოცდილება.

დედათა და ბავშვთა დაცვა

- ადგილობრივი დემოგრაფიული სტრატეგიის ჩამოყალიბება. ორსულთა, ახალშობილთა, მშობიარეთა და ნაყოფის დაცვის ადგილობრივი ღონისძიებების, მშობიარობის შემდგომი დახმარების საკითხის, როგორც ამ სტრატეგიის ნაწილის განხილვა;
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა, ქალურ ორგანოთა საშიში დაავადებების (მათ შორის სიმსივნური) პროფილაქტიკის ღონისძიებების მხარდაჭერა.

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილება

- ადგილობრივი საბიუჯეტო პროგრამების შესახებ ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სრულყოფილი ინფორმირების უზრუნველყოფა;
- თანხების პროპორციული განაწილებისათვის გენდერული ჯგუფების საჭიროებების კვლევა და ისეთი სფეროების დაფინანსება, რაც სახელმწიფო პროგრამებით არ ხდება;

- შშმ ჯგუფებისათვის პანდუსების დამონტაჟება ქუთაისის საკრებულოსა და მერიაში. შშმ ჯგუფებისათვის არა ერთჯერადი ღონისძიებების, არამედ თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება მათზე მორგებული ინფტრასტრუქტურის შესაქმნელად;
- იგპ-თა სხვადასხვა ჯგუფის ინტეგრირება ქალაქის განვითარების სტრატეგიაში. მათი სოციალური ინტეგრაციის საკითხებში ადგილობრივი პასუხისმგებლობის სრულად გათავისება და შესაბამის სტრუქტურებთან (დევნილთა და განსახლების სამინისტრო, აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურები) კოორდინაცია;
- ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში „მარტოხელა დედის“ ნაცვლად „მარტოხელა მშობლის“ დეფინიციით მარტოხელა მამების გენდერული დისკრიმინაციის არიდება;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამების ინიცირება;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტებისთვის განათლებისა და მათი სტაჟირების პროგრამების ხელშეწყობა;
- ე.წ. „ქუჩაში მცხოვრები ბავშვების“ პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფა სხვადასხვა რგოლთან თანამშრომლობით. შესაბამისი ფინანსური რესურსების გამონახვა ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისათვის, მათი მდგომარეობის მოკვლევის ჩატარება.

ადგილობრივი მულტიდისციპლინარული თანამშრომლობა

- ადგილობრივ დაინტერესებულ საზოგადოებასა და სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთად გენდერული სტატისტიკის ინდიკატორების შემუშავება ადგილობრივი გენდერული საჭიროებების ანალიზისათვის;
- მჭიდრო თანამშრომლობა საკრებულოს გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან (ფონდ „სოხუმთან“ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე), ადგილობრივი გენდერული სტრატეგიის შესამუშავებლად;
- გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა. ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის ჩატარება მისი ქალებსა და კაცებზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე გავლენის შეფასებისა და ანალიზისთვის;
- ცალკეული სამსახურების მიერ გენდერული პარამეტრების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება („გენდერული თანასწორობის კანონის“, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის სამოქმედო გეგმების ადგილობრივი ვალდებულებების, „თვითმმართველობის შესახებ“ კანონის გენდერული უფლებამოსილებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე);
- ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა, შედარებითი ხარისხობრივი ანალიზი და მოსახლეობაზე მისი გავლენის შესწავლა. გენდერულ ეკონომიკურ პოლიტიკაში დაგეგმვისა და საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება.

უმუშევრობის შემცირება და სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

- ქალთა მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების მხარდაჭერა (დასაქმების პროგრამების შესაქმნელად თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილების სრულად ამოქმედება);

➢ ორიენტაცია გრძელვადიან სოციალურ პროექტებზე, რომელიც გარკვეული ჯგუფებისათვის დახმარების პროგრამებს ჩაანაცვლებს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით;
➢ ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური ხარჯების ეფექტურობის პერიოდული ანალიზი. მონიტორინგის სისტემის შექმნა.

რეპროდუქტიული შრომის მხარდაჭერა

➢ კერძო სექტორის იმ წარმომადგენელთთვის, ვინც რეპროდუქტიულ შრომას წაახალისებს, ადგილობრივ გადასახადებზე შეღავათების დაწესება;
➢ ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის რეალიზაცია იმ პირთა დახმარების პროგრამებით, ვინც უვლის მძიმე ავადმყოფს, შშმ პირს.

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

➢ არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობის შესაძლებლობების გამონახვა;
➢ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობა. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მხარდაჭერა;
➢ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ხელშეწყობა: აღსაზრდელთა პერიოდული შემოწმების პროგრამების უზრუნველყოფა.

ადგილობრივი კომპეტენციის საკითხების გაფართოება

- ცენტრალიზებული სახელმწიფო სოციალური პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგი (ამ პროგრამების სამართლიანობის, გამჭვირვალობის კუთხით), მოქალაქეთა პრეტენზიების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების, რეკომენდაციების წარდგენა სამინისტროებისათვის - სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელების ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- მიგრაციის ფემინიზაციის მასშტაბების ანალიზი ადგილობრივ დონეზე და დემოგრაფიული სტრატეგიის დახვეწა;
- სოციალური დაცვის, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთი ფუნქციის, სრულყოფა, წინადადებების მომზადება სოციალური საქმიანობის დაფინანსების უფრო მიზნობრივი და ადრესული დახმარების უზრუნველყოფისათვის;
- პროფესიული საქმიანობის ცენტრების შექმნა, ბაზრის მოთხოვნების კვლევის საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიების კუთხით ქალთა და სხვა გენდერული ჯგუფების პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა;
- კომისიის შექმნა ქალაქის სრულყოფილი ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციისათვის იმ შენობა-ნაგებობების გამოსავლენად, რომლებიც არ იმყოფება კონკრეტული მფლობელის ბალანსზე - თვითმმართველობის ბალანსზე მათი აყვანის მიზნით და შემდგომი პრივატიზაციის, ან ქალაქის საბინაო ფონდის გაზრდისათვის.

სოციალურად საშიში დაავადებების პრევენცია ადგილობრივ დონეზე

- ადგილობრივ დონეზე სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის მაქსიმალური გამართვა;
- სოციალური ტიპის დაავადებების სტატისტიკის სისტემის შექმნა. სოციალური საფრთხის შემცველი დაავადებების მასშტაბების შესწავლა;
- ადგილობრივ დონეზე სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზის, ჰეპატიტ „C“, აივ-შიდსი და სხვა) პრევენციის ღონისძიებებში კვალიფიციური სპეციალისტების, დარგის ექსპერტების ჩართვა;
- სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერა (ინფორმირების, პრევენციის მიმართულება).

ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების პროგრამები

- თვითმმართველობის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, მათი განათლებისა და განვითარების საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სკოლებში ფსიქოლოგიური კულტურის, სანიტარული და სქესობრივი აღზრდის პროგრამების მხარდაჭერა;
- ახალგაზრდული სტაჟირების სისტემისათვის საფუძვლების შექმნა ადგილობრივ ხელისუფლებაში, კერძო საწარმოების, არასამთავრობო სექტორის სტიმულირება ამ მიმართულებით;
- წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (მაგალითად - საზღვარგარეთ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება);
- სტუდენტთა შეღავათიანი მგზავრობის საკითხის მხარდაჭერა;
- შესაძლებლობების რეალიზებაში დახმარების გაწევა (გამოფენის მოწყობა, სასურველი პროფესიების კუთხით გადამზადება).

გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკა და თანამშრომლობა მსხვერპლის დაცვის კუთხით

- სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. ძალადობის სტატისტიკის სისტემის შექმნა;
- ტრენინგების ჩატარება ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის პერსონალის, სამართალდამცავების, სოციალური მუშაკებისა და ჟურნალისტებისათვის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით;
- ადგილობრივი სოციალური სერვისების უზრუნველყოფა ძალადობის მსხვერპლისათვის;
- ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში მსხვერპლის დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფა ძალადობის აღკვეთის რეფერალური მექანიზმების სხვა სუბიექტებთან ერთად.